გრამატიკული კლას-კატეგორიის ნაშთი ძველი ქართული ენის მორფოლოგიურ სისტემაში

ავტორი გიორგი გოგოლაშვილი
თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი, პ. ინგოროყვას 8
E-mail: giorgigogolashvili@rambler.ru

ანოტაცია.

ძველ ქართულ ენაში სახელობითში დასმულ პირდაპირ ობიექტიან ფორმებში გამოჩნდება სუფიქსი -**ენ(>ნ)**. რამდენადაც ამ სუფიქსის გამოვლენა დაკავშირებულია სახელობითში დასმული ობიეტის სიმრავლესთან, ამდენად იგი მიჩნეულია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშნად; მაგრამ ამ შემთხვევაში წარმოიქმნება ერთი სერიოზული დაბრკოლება: **-ენ (ნ)** არ მიემართება რომელიმე კონკრეტულ პირს; იმავე ზმნურ ფორმაში კონკრეტული ობიექტური პირის სიმრავლე სხვა (შესაბამისი) აფიქსითაა გამოხატული. იგივე სუფიქსი თავს იჩენს ვნებითებშიც, სადაც მრავლობითში დასმულ სუბიექტს მიემართება და მას კონვერსიული მოქმედებითიდან გადმოყოლილად მიიჩნევენ...

ირკვევა, რომ -**ენ(ნ**) სუფიქსის გამოყენება როგორც მოქმედებითი, ისე ვნებითი გვარის შემთხვევაში ზუსტად ემთხვევა კლასოვანი უღვლილების ენებში (მაგალითად, ხუნძურში) პირთა აღნიშვნის წესებს. ივარაუდება, რომ ძველ ქართულში -**ენ(ნ)** სუფიქსი ოდინდელი კლასოვანი უღლების ნაშთია; მას გრამატიკული ფუნქცია არ გააჩნია.